ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №269

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია **14 სექტემბერი 2016წ.**

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, **მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მარნეულის **მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ზაურ ტაბატაძის** სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „ფრანი"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი **დირექტორის ნიკოლოზ ფიროსმანიშვილის** სახით.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს *ანალიზისა და საზოგადოებასტან ურთიერთობის სამსახურის 14.09.2016 წლის N 2874-03 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ღია მისალოცი ბარათების და მოსაწვევი ბარათების (CPV 223 00000 – ღია ბარათები, მისალოცი ბარათები და სხვა ნაბეჭდი მასალა) შესყიდვა* გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. მოსაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს *265.00 (ორასსამოცდახუთი) ლარს.*

4.2. მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ფასი შეადგენს: *თანახმად დანართისა.*

4.3. საქონელი და მომსახურება მოწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე: *ქ. მარნეული, რუსთაველის N73.*

4.4. დაფინანსების წყარო - 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს **2016 წლის 15 სექტემბერს** ხარისხიანი საქონლის მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე).

5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

6. საქონლისმიღება-ჩაბარებისწესი

6.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულებისშესრულებისკონტროლი

7.1.მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასშიშემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს *ანალიზისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ ხაჩიძე.*

8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული, არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა ან/და გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2.ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება **უნაღდო**. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით

შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. სუბ-კონტრაქტორები

12.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

122 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.1%** ოდენობით.

14.2საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრუებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე: ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. ინტერესთა კონფლიქტი

17.1. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი, ხელმოწერით ადასტურებს რომ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის** მიერ გამარტივებული შესყიდვის მეთოდით შერჩეულ პრეტენდენტთან ***შ.პ.ს. „ფრანი“*** – სთან სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **30.12.2016 წ – მდე.**

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **სამ** ეგზემპლარად და თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი

შემსყიდველი ორგანიზაცია:	**მიმწოდებელი:**
მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა	შ.პ.ს. „ფრანი“
მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. № 73	**მისამართი:** ქ. თბილისი, აბუსერიძე-ტბელის 15
ს.კ. 234232149	**ს.კ. N: 401 947 293;**
მომსახურე ბანკი: ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს მარნეულის ფილიალი;	**მომსახურებანკი:** ს.ს. „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22.	**ბანკის კოდი:** TBCBGE 22;
ა.ა GE54LB0120166049432006.	**ა.ა.**GE 83 TB 7563 1360 2010 0001.

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი:

_____ /**ზ. ტაბატაძე/**

დირექტორი:

_____ /**ნ. ფიროსმანიშვილი/**

N 2874-03

14/09/2016

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ზაურ ტაბატაძეს

გამგეობის ანალიზისა და საზოგადოებასთან

ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის

მარიამ ხაჩიძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

მოგახსენებთ, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა ახალი სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავად გეგმავს საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღებისთვის ღია მისალოცი ბარათების დაგზავნას.

ამას გარდა პირველ ოქტომბერს დაგეგმილია სოფელ წერაქვში, ტრადიციულად ჯავახიშვილობის ღონისძიების გამართვა, რისთვისაც საჭიროა მოსაწვევი ბარათების დამზადება, რათა თვითთმართველობის სახელით დაეგზავნოს ღონისძიებაზე მოსაწვევ სტუმრებს.

გთხოვთ, აღნიშნული საკითხის განხილვა დაავალოთ საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურს, რათა კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში უზრუნველყოს შესყიდვასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების გატარება.

პატივისცემით,

მარიამ ხაჩიძე

სამსახურის უფროსი - მ.შ.

ანალიზისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური